შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 7687

12/02/2014

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის
ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების განკარგვის შესახებ.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების და განკარგვის წესი და პირობები“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ამ ბრძანების დანართი №1-ით (3 ფურცელი) და დანართი №2-ით (2 ფურცელი) განსაზღვრული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული ექსპლოატაციისათვის უვარგისი ქონების განკარგვა.
2. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების და განკარგვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 2 აგვისტოს №310 ბრძანებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. ამ ბრძანებით განსაზღვრული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიენიჭოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების უფროს სპეციალისტს მალხაზ სამუშიას/
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს ნიკოლოზ კახეთელიძეს.
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საფუძველი: ფინანსთა სამინისტროს თანხმობა (სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 10 თებერვლის №14187-21 წერილი)

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური